ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის ინსტიტუტი
Europian University
Institute of Law

ანგარიში 2021 REPORT

ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის ინსტიტუტი
EUROPEAN UNIVERSITY
INSTITUTE OF LAW

დირექტორი: იოსებ კელენჯერიძე
Director: Ioseb Kelenjeridze

Law.org.ge



ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“

- გამოიცა ჟურნალის მე-16, მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 ნომრები. მათ შორის, სპეციალური (მე-16) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა 2020 წლის საერთაშორისო კონფერენციის „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები 2020“ შრომები.

- ჟურნალს აქვს განახლებული ვებგვერდი, სადაც შესაძლებელია ნებისმიერი ფუნქციონალის დამატება, ადაპტირებულია ნებისმიერი ტიპის მოწყობილობებზე, შექმნილი აქვს SEO-ს მიმართ განსაკუთრებული გარემო, რაც საშუალებას იძლევა ყველაზე უფრო მარტივად და ეფექტურად მოხდეს სეო ოპტიმიზაცია.

- ჟურნალის საიტს აქვს მაღალი რეიტინგული ნახვების რაოდენობა, საიტზე შემოსვლების დიდი წილი მოდის უცხოეთიდან, კერძოდ, ჟურნალს ნახულობენ 76 ქვეყნიდან, მათ შორის არის ევროპა, აშშ, ავსტრალია, ინდოეთი და ა.შ.

- მოხდა ჟურნალის აღიარება საერთაშორისო რეიტინგული სამეცნიერო ბაზების მიერ: **Dimensions, Research4Life, GOALI** (Research for Global Justice), **BASE** (Bielefeld Academic Search Engine), **ResearchBib, DRJI, DOAJ** (Directory of Open Access Journals) აღნიშნულ ბაზაში „სამართალი და მსოფლიო“ აღიარეს გამორჩეულ წევრად და მიანიჭეს „დოაჯის ბეჭედი“ – **DOAJ SEAL** (ბაზაში არსებული ჟურნალების გამორჩეული VIP წევრი გახდა).

ეს წარმატება DOAJ-ში ინდექსირებული ჟურნალების მხოლოდ 10%-ს ხვდება წილად, რაც ღია წვდომის გამომცემლობის ფარგლებში ჟურნალის საუკეთესო პრაქტიკის აღიარებაა. „დოაჯის“ ბეჭდის მინიჭების საკითხი შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება: ჟურნალის პოლიტიკისა და საავტორო უფლებების გადახედვა მეცნიერებაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად, სტატიის იდენტიფიკატორების მუდმივად გამოყენება, ჟურნალის მდგრადობა, საერთაშორისო ხილვადობა და ჟურნალის სტატიების გრძელვადიანი შენარჩუნება.

- გაუმჯობესდა ინდექსის მაჩვენებელი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში: **Index Copernicus, ISI, Citefactor**.

Journal „LAW AND WORLD“

- 16th, 17th, 18th, 19th and 20th issues of the journal were published. Including a special (16th) issue, which includes proceedings of the 2020 International Conference on “Current Problems of Justice 2020”.

- The journal has an updated website, which is manually created and any functionality can be added. It is adapted to any type of device, has created a special environment for SEO, which allows the easiest and most effective SEO optimization.

- The journal’s site has a high number of views, a large proportion of site visitors come from abroad, in particular, the journal is viewed from 76 countries, including countries from Europe, USA, Australia, India, etc.

- The journal was recognized by internationally ranked scientific databases: **Dimensions, Research4Life, GOALI** (Research for Global Justice), **BASE** (Bielefeld Academic Search Engine), **ResearchBib, DRJI, DOAJ** (Directory of Open Access Journals). “Law and World” was recognized as a distinguished member of the database and was awarded by the “**DOAJ SEAL**” (became a distinguished VIP member of the journals in the database).

This kind of success accounts for only 10% of DOAJ indexed journals, which is a recognition of the journal’s best practices in open access publishing. An issue of awarding the DOAJ Seal is assessed on the basis of the following criteria: reviewing the journal policy and copyright in the light of current changes in science, constant use of article identifiers, journal sustainability, international visibility, and long-term retention of journal articles.

- The index rate has been improved in international scientific databases: **Index Copernicus, ISI, Citefactor**.

ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“

BOAI

OPEN ACCESS

THE BRITISH LIBRARY
Explore the world's knowledge

- ჟურნალი განთავსდა საერთაშორისო ციფრულ საცავებში (ინტერნეტ არქივი): **Keepers, Internet Archive**.

  Keepers შეფასებულია ოოგოოიც საეოთაშოოისო საიდენტიფიკაციო ინფასტრუქტურის ნაწილი.

- ჟურნალის სტატიები ხელმისაწვდომი გახდა დიდი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (**British Library**) არქივში.

ფაბრის პიკო – (საფრანგეთი) პროფესორი, პანთეონ-ასას უნივერსიტეტი (პარიზი II), ევროპის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. გამოცემის „სამართალი და ევროკავშირის“ დირექტორი. ევროპული სწავლების ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი

- **Fabrice Picod** (France) – Professor, Panthéon Assas University (Paris II), Head of the Master's Program in European Law. Director of the publication "Law and the European Union". Honorary President of the European Teaching Association

- ჟურნალი ბუდაპეშტის ღია ხელმისაწვდომობის ინიციატივის (**BOAI**) საერთაშორისო დეკლარაციის ხელმომწერი მხარე გახდა.

- 2021 წელს ჟურნალს დაემატა სარედაქციო კოლეგიის ახალი უცხოელი წევრები:

მათიუ მერპოელი – (საფრანგეთი) საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართალში

- **Matthieu Meerpoel** (France) – Associate professor in public Law at the Law Faculty of the Catholic University of Lille

Journal „LAW AND WORLD“

- The journal was listed at the International Digital Repositories (Internet Archive): **Keepers, Internet Archive**.

  Keepers are valued as a part of the International Identification Infrastructure.

- Journal articles are available in the archives of the National Library of the United Kingdom (**British Library**).

მარტინ კოლე – (საფრანგეთი) Panthéon-Assas-ის (Paris II) უნივერსიტეტის პროფესორი

- **Martin Collet** (France) – Professor of law at Université Panthéon-Assas (Paris II)

ფრანჩესკო ლონგობუკო – (იტალია) კერძო სამართლის ასოცირებული პროფესორი – MIUR სრული პროფესორის კვალიფიკაცია, იურისტი უმაღლესი მაგისტრატურის ეკონომიკის დეპარტამენტში, Roma Tre University Erasmus-ის აკადემიური კოორდინატორი

- **Francesco Longobucco** (Italy) – Associate professor of private law – MIUR qualification of Full Professor, lawyer at the Higher Magistrates Department of Economics, Roma Tre University Erasmus academic coordinator

- The journal became a signatory to the Budapest Open Access Initiative (**BOAI**) International Declaration.

- In 2021, new foreign members of the editorial board were added to the journal:

კონფერენცია

„მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტმა 23 ოქტომბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“. კონფერენციის თანაორგანიზატორი იყო საფრანგეთის საელჩო საქართველოში.

კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ ფრანგი და ქართველი ექსპერტები. მონაწილე მხარეებმა, საქართველოსა და საფრანგეთის მაგალითზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული რეფორმები და ცვლილებები განიხილეს. ფრანგმა სტუმრებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ქართველ კოლეგებს, იმსჯელეს ქართულ და ფრანგულ მართლმსაჯულებაში არსებულ გამოწვევებზე.

კონფერენციაზე საელჩოს წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან **ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხში, თანამშრომლობისა და გამოცდილებების გაზიარების გარდა, დგას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი და, ამგვარად, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საკითხი საქართველოს ევროკავშირთან აახლოებს**.

შეხვედრაზე სიტყვით წარსდგნენ: საფრანგეთის ელჩის მრჩეველი თანამშრომლობისა და კულტურის საკითხებში, ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი **პიერ კლუე**, მოსამართლე **მარსელ კლაჟნბერგი** (საფრანგეთი, გრენობლი), საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი **გრეგორი მარტინ დე ნეველი**, UNICEF-ის წარმომადგენელი **ირმა გაბრიაძე**, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე დარახველიძე** და ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები **თათია დოლიძე** და **თამარ ლალიაშვილი**.

CONFERENCE

"CURRENT PROBLEMS OF JUSTICE: JUVENILE JUSTICE"

The European University Institute of Law held an international scientific conference on "CURRENT PROBLEMS OF JUSTICE: JUVENILE JUSTICE" on October 23 at the "Courtyard Marriott" Hotel. The conference was co-organized by the French Embassy in Georgia.

French and Georgian experts were invited. The parties discussed the reforms and changes in the field of juvenile justice, following the example of Georgia and France. French guests shared their experience with their Georgian colleagues, discussed the challenges in Georgian and French justice.

At the conference, representatives of the Embassy stressed that the field of juvenile justice is very important for Georgia, because **the process of Georgia's integration into the European Union is beyond cooperation and sharing of experiences in the field of children's rights and thus, the issue of protection of the rights of minors brings Georgia closer to the EU**.

Speech will be presented by: Adviser to the Ambassador of France on Cooperation and Culture, Director of the French Institute **Pierre Clouet**, judge **Marcel Klajnberg** (France, Grenoble), Representative of the French Ministry of Justice **Grégory Martin-Dit-Neuville**, UNICEF Representative **Irma Gabriadze**, Deputy Minister of Internal Affairs of Georgia **Alexandre Darakhvelidze** and professors of the European University **Tatia Dolidze** and **Tamar Laliashvili**.

Conference reports were published as a separate journal – "CONFERENCE PROCEEDINGS 2021"

კონფერენცია

„მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“

პიერ კლუეს ინტერვიუ *(საფრანგეთის ელჩის მრჩეველი თანამშრომლობისა და კულტურის საკითხებში, ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი)*:

„მოხარული ვარ, რომ შევძელი ამ მნიშვნელოვან კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტისა და საფრანგეთის საელჩოს თანაორგანიზებით ჩატარდა. მასში, ასევე, მონაწილეობდა UNICEF-ი. ეს მნიშვნელოვანი მომენტია და, ზოგადად, იმ თანამშრომლობის სფეროს მოიცავს, რომელსაც საფრანგეთის საელჩო ახორციელებს. ჩვენი თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობას. ჩვენ დღეს, სწორედ ამ პრობლემატიკაზე ვმსჯელობთ, ვსაუბრობთ ბავშვის უფლებებზე, მათი უფლებების დაცვაზე და ყველა იმ ხელთ არსებულ მექანიზმზე, რაც ბავშვთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

> კონფერენციას ესწრებოდნენ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები, ბავშვის უფლებათა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადვოკატები და უმაღლეს სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად რთული სანიტარული ვითარებისა, ყველა სიფრთხილის დაცვით, ორი ფრანგი მოსამართლე მაინც ჩამოვიდა საქართველოში, რათა ფრანგული გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს ამ სფეროში. ეს სფერო მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხში თანამშრომლობისა და გამოცდილებების გაზიარების მიღმა დგას ევროკავშირში ინტეგრაციისა პროცესი და, ამგვარად, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხია, რაც საქართველოს ევროკავშირთან აახლოებს.“

CONFERENCE

"CURRENT PROBLEMS OF JUSTICE: JUVENILE JUSTICE"

Interview with PIERRE CLOUET

(Adviser to the Ambassador of France on Cooperation and Culture, Director of the French Institute):

„I am pleased to be able to participate in this important conference, co-organized by the European University Institute of Law and the Embassy of France, in which UNICEF also participated. This is an important moment and generally covers the area of cooperation between the French Embassy. Our cooperation is aimed at supporting vulnerable groups in Georgia. Today we are discussing this issue, talking about children's rights, protection of their rights and all the existing mechanisms that ensure the protection of children's rights.

It is important to note that despite the difficult epidemic situation, despite all precautions, at least two French judges arrived in Georgia, to share the French experience with colleagues in this field. This field is very important for Georgia, because the process of integration into the EU goes beyond cooperation and sharing of experiences in the protection of children's rights, and thus the protection of the rights of minors is an extremely important issue that brings Georgia closer to the EU."

The conference was attended by representatives of the French Embassy, representatives of non-governmental organizations working on child rights issues, lawyers and professors from higher education institutions.

პანელური დისკუსია/დებატი

24 სექტემბერს ჩატარდა პანელური დისკუსია/დებატი „კერძო სექტორი და შრომითი რეგულაციები“



განსახილველი თემები:

- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა პოსტკოვიდურ პერიოდში;
- პანდემია და იძულებითი ვაქცინაცია;
- დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შრომითი უფლებები პანდემიის ფონზე;
- უახლესი სასამართლო პრაქტიკა.

მომხსენებლები:

- თამარ გაბისონია – ევროპის უნივერსიტეტის ლექტორი;
- გია ლილუაშვილი – პროფესორი, სამართლის დოქტორი.

დამსწრე საზოგადოება:

სტუდენტები, პროფესიონალი იურისტები, დაინტერესებული პირები.

პროფესიონალებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და უპასუხეს აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს. განხილულ იქნა როგორც დასაქმებულთა, ასევე დამსაქმებელთა უფლებები პანდემიის გამოწვევების ფონზე.

PANEL DISCUSSION / DEBATE

ON SEPTEMBER 24, A PANEL DISCUSSION / DEBATE WAS HELD ON "PRIVATE SECTOR AND LABOR REGULATIONS"

TOPICS TO BE DISCUSSED:

- Termination of employment contract in the post-COVID period;
- Pandemic and forced vaccination;
- Labor rights of employers and employees in light of the pandemic;
- Recent case law.

ATTENDEES:

- Students, practicing lawyers, stakeholders.
- Professionals of this field shared their experiences and answered questions asked by the audience. The rights of both employees and employers were discussed in the light of the pandemic challenges.

SPEAKERS:

- Tamar Gabisonia – Lecturer at the European University;
- Gia Liluashvili – Professor, Doctor of Law.



საჯარო ლექცია

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ინტეგრაციული ფუნქცია და ფუძემდებლური ღირებულებები

2021 წლის 21 თებერვალს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ონლაინ ლექცია თემაზე: „საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ინტეგრაციული ფუნქცია და ფუძემდებლური ღირებულებები“. მომხსენებელი გახლდათ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი – **თამარ ავალიანი.**

ლექცია საქართველოს კონსტიტუციის 100 წლისთავს მიეძღვნა.

PUBLIC LECTURE

THE INTEGRATIVE FUNCTION AND FUNDAMENTAL VALUES OF THE CONSTITUTION OF GEORGIA OF FEBRUARY 21, 1921

On February 21, 2021, a public online lecture was organized by the European University Institute of Law on "The Integrative Function and Fundamental Values of the Constitution of Georgia of February 21, 1921". The speaker was a senior fellow-researcher at the European University Institute of Law, Doctor of Law, Associate Professor – **Tamar Avaliani**.

The lecture was dedicated to the 100th anniversary of the Constitution of Georgia.

გამოცემები

ინსტიტუტის ორგანიზებით გამოიცა შემდეგი სამეცნიერო შრომები:

- ფრანგულ ქართული იურიდიული ლექსიკონი – ავტორი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი **იოსებ კელენჯერიძე**. წიგნი დააფინანსა საფრანგეთის საელჩომ საქართველოში;
- შედარებითი სისხლის სამართალი – ავტორები **გიორგი ღლონტი, თათია დოლიძე, იოსებ კელენჯერიძე, ალექსანდრე ღლონტი**. წიგნი დაფინანსდა ინსტიტუტის შიდა პროექტის ფარგლებში;
- კონცენტრაციების კონტროლი საქართველოში – ავტორი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლი **გვანცა ჩადუნელი** (თანააავტორებთან ერთად).





PUBLICATIONS

THE FOLLOWING SCIENTIFIC WORKS WERE PUBLISHED BY THE INSTITUTE:

- French-Georgian Legal Dictionary – Author: **Ioseb Kelenjeridze**, Chief Researcher of the Institute. The book was funded by the French Embassy in Georgia;
- Comparative Criminal Law – Authors: **Giorgi Glonti**, **Tatia Dolidze**, **Ioseb Kelenjeridze**, **Alexander Glonti**. The book was funded as part of the Institute's internal project;
- Concentration Control in Georgia – Author: **Gvantsa Chaduneli**, research-fellow at the Institute (with co-authors).

ვებინარი

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური დავის სამართლებრივი ფინალი და მისი მნიშვნელობა

2021 წლის 26 იანვარს, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით, გაიმართა საჯარო ონლაინ ლექცია: „რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური დავის სამართლებრივი ფინალი და მისი მნიშვნელობა“.

ვებინარი სტრასბურგის სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებას მიეძღვნა, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფომ რუსეთის ფედერაციას მოუგო საქმე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება. სასამართლომ დააკმაყოფილა ქართული მხარის სახელმწიფოთაშორის საჩივარში ჩამოთვლილი ყველა ძირითადი მოთხოვნა.

მომხსენებელი გახლდათ იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი 2008-2016 წლებში, რუსეთის საქმის წარმომადგენელი სტრასბურგის სასამართლოში, ევროკავშირის ექსპერტი – **ლევან მესხორაძე**.

განხილული იქნა რუსეთ-საქართველოს საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა და მისი შესაძლო სამართლებრივი შედეგები. მომხსენებელმა ისაუბრა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, ქართული მხარის მიერ მტკიცებულებების შეგროვების და სამართლებრივი პროცედურების წარმოების შესახებ.

WEBINAR

THE LEGAL FINALE OF THE RUSSIA-GEORGIA POLITICAL DISPUTE AND ITS SIGNIFICANCE

On January 26, 2021, a public online lecture was organized by the European University Institute of Law: "Legal Final of the Russia-Georgia Political Dispute and Its Significance".

The webinar was dedicated to the decision of the Strasbourg Court of January 21, 2021, according to which the state of Georgia won a case related to the August 2008 war with the Russian Federation. The court granted all the main requirements listed in the Georgian interstate complaint.

The speaker was the Head of the Department of State Representation in the International Courts of Human Rights of the Ministry of Justice in 2008-2016, the representative of the Russian case in the Strasbourg Court, expert at the EU – **Levan Meskhoradze.**

The significance of the decision made by the Strasbourg Court in the Russia-Georgia case and its possible legal consequences were discussed. The speaker spoke about the facts of human rights violations in the territories occupied by Russia, on the collection of evidence and legal proceedings from the Georgian side.

ამერიკელი სტუმრები ევროპის უნივერსიტეტში

2021 წლის 5 მაისს ევროპის უნივერსიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების კულტურის ატაშეს კრისტეფორ ანდერსონს და ამერიკელ მოსამართლეს მარკ სპეისერს (ქ. მაიამი) უმასპინძლა.

შეხვედრაზე მხარეებმა მომავალი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. გადაწყდა საერთო პროექტების მომზადება, კონფერენციებში საელჩოს ჩართულობა, სამართლის პროგრამის გაძლიერება. ამასთანავე, ბატონმა ანდერსონმა ევროპის უნივერსიტეტს ამერიკულ უნივერიტეტებთან პროფესორ-მასწავლებლების გაცვლით პროექტებში მონაწილეობა შესთავაზა.

AMERICAN GUESTS AT THE EUROPEAN UNIVERSITY

On May 5, 2021, the European University hosted the United States Attorney for Culture, Christopher Anderson, and the American Judge Mark Spacer (Miami).

The parties discussed issues of future cooperation. It was decided to prepare joint projects, involve the embassy in conferences, strengthen the law program. In addition, Mr. Anderson invited the European University to participate in projects to exchange professors at the American universities.

ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის ინსტიტუტი
Europian University
Institute of Law

(+995 32) 2 000 171 (120)

info@law.org.ge

თბილისი. გურამიშვილის გამზ. N76